

Share

0

More

Next Blog»

Create Blog Sign In

სამხრეთის კარიბჭე

მთავარი	ვინ ვართ ჩვენ	ავტორები	ფინანსური მხარდამჭერები	სასარგებლო ბმულები	კონტაქტი	
---------	---------------	----------	-------------------------	--------------------	----------	--

ორმო ტბის ნცვლად



ასეთი იყო ტბა ერთ დროს. ახლა ამ ადგილას დიდი ორმოა.

ხანჩალის ტბის ორმოდ ქცეული ნაწილი, განადგურებული ბიომრავალფეროვნება, ასობით გადაშენებული თევზი, ფრინველი და ცხოველი, დაზიანებული ეკოსისტემა, შეცვლილი კლიმატი და საფრთხის წინაშე მყოფი მოსახლეობა.

საქართველოში ზომით მეოთხე ტბა, რომლის წყლის ზედაპირის ფართობი 1310 ჰექტარს შეადგენდა, გაქრობის პირასაა.

ხანჩალის ტბის სტატისტიკური მონაცემები ტბის დაშრობამდე

ფართობი (კმ ²)	სიგრძე (კმ)	სიგანე (კმ)	სიღრმე (მ)	სიმაღლე ზღვის დონიდან (მ)	ტემპ. (0 C)	მდინარის აუზის ფართობი (კმ ²)
13.1	7	2.5	0.7	1,928	10	176

ხანჩალის ტბა ქვეყნის სამხრეთ ნაწილში, ჯავახეთის ზეგანზე მდებარეობს. ეს გლობალური მნიშვნელობის ჰარბტენიანი ტერიტორიაა და უნიკალური ბიომრავალფეროვნებით ხასიათდება.

ისტორია

ხანჩალის ტბისთვის პირველად საბჭოთა ეპოქაში “მოიცალეს”. 1961 წელს მთავრობამ გადაწყვიტა ხანჩალი ექსპერიმენტული თევზსაშენი მეურნეობისათვის გამოეყენებინა. ძირითადი სამუშაო 1963-64 წლებში ჩატარდა. ტბა წყლისაგან დაცალეს, გათხარეს თევზების გამოსაზამთრებელი არხები და მოაწყვეს წყლის დონის მარეგულირებელი სისტემა.

1964 წელს ტბა კვლავ აავსეს წყლით. მიუხედავად ამისა, ფრინველების სახეობების ნაწილმა გადაფრენის მარშრუტი შეცვალა და აქედან მოყოლებული ხანჩალზე აღარ ჩერდებოდა. ამავე წელს ტბაში ჩაასახლეს სარეწაო მნიშვნელობის თევზები. წამოწყება მომგებიანი აღმოჩნდა, მაგრამ 1968 წელს კვლავ გააუქმეს, ტბა ამოაშრეს და თევზი მთლიანად დაიღუპა. ამის შემდეგ ტბა გადაეცა საქსასთევზმრეწვს, რომელმაც ხანჩალი მალევე მიატოვა. ამან დადებითად იმოქმედა ტბაზე - ისევ გაივსო წყლით, ეკოსისტემამ თანდათანობით აღდგენა დაიწყო, მდინარეებით შემოვიდა და გამრავლდა თევზი, გაიზარდა ტბაზე მოზუდარი და მიგრირებადი ფრინველების რაოდენობა.

თუმცა 1979 წელს ახალი ექსპერიმენტი წამოიწყეს, რომელიც ტბის ნაწილობრივ დაშრობასა და სასოფლო სამეურნეო სავარგულებად გამოყენებას გულისხმობდა.

ხანჩალი კიდევ ერთხელ მთლიანად დააშრეს. 1980-დან 1985 წლამდე ტბაში წყალი არ ყოფილა. ამ პერიოდში ააშენეს ჯებირი, რომელმაც ტბა ორ ნაწილად გაყო. 1985 წელს ტბის მესამედი – 425 ჰექტარი წყლით აავსეს. ტბის ამ ნაწილში ადგილობრივი კოოპერატივი თევზის რეწვას აწარმოებდა. უწყლო ნაწილს კი სათიბად იყენებდნენ. იყო კარტოფილის მოყვანის უმედეგო მცდელობაც.

მომდევნო წლებში, სხვადასხვა მიზეზით, ტბა რამდენჯერმე მთლიანად დაცალეს. 1997 წლის გაზაფხულზე

ძებნა საიტზე

 Search

სიახლეების გამოწერა

- Posts
- Comments

რუბრიკები

- ანონსი (11)
- ახალი წელი (1)
- განათლება (157)
- ეკონომიკა (3)
- ეკონომიკა (149)
- კულტურა (35)
- ნიუსები (12)
- პოლიტიკა (138)
- რეგიონი (100)
- რეკლამა (5)
- რელიგია (6)
- რეპორტაჟი (8)
- საავტორო სვეტი (12)
- საახალწლო ნომრის კურიოზები (3)
- საზოგადოება (124)
- სამართალი (28)
- სამშობლო (1)
- სკოლა (1)
- სპორტი (23)
- უფლება გაქვს იცოდე (4)
- ფოტობრალდება (1)
- ფოტორეპორტაჟი (7)
- ჩვენი ფილმები (8)
- ჯანდაცვა (80)

არქივი

- 2012 (32)
- 2011 (339)
- ▼ 2010 (491)
 - ▼ December (45)
 - გილოცავთ დამდეგ შობა - ახალ წელს!
 - ორმო ტბის ნცვლად იყო და არა იყო რა...
 - გილოცავთ დამდეგ დღესასწაულს!
 - დიქტოფონის გარეშე მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა...
 - მეხუთე წელი თქვენთან ერთად

ჯებირი წყალმა რამდენიმე ადგილას გაარღვია, გადავიდა დამშრალ ნაწილში და არხების გავლით მთლიანად დაიღვრა. მთელი წლით უწყლოდ დატოვებული ტბის ბიომრავალფეროვნება მღიერ დაზარალდა, ათასობით ფრინველი დაღუპვისათვის გაიწირა. საბოლოოდ ჯებირი ადადგინეს, ერთი წლის შემდეგ ტბის მესამედში წყალი დადგა, მაგრამ ეკოსისტემის საერთო მდგომარეობა უარესობისკენ შეიცვალა.

განადგურებული ბიომრავალფეროვნება კლიმატი

არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივას” ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორის, ირაკლი მაჭარაშვილის განმარტებით, წყალჭარბი ტერიტორიები დიდ როლს თამაშობენ წყლის რეჟიმის რეგულირებაში, ეროზიისა და წყალდიდობების კონტროლსა და წყლის ხარისხის შენარჩუნებაში: “ისინი მონაწილეობენ წყლისა და ნახშირბადის გლობალურ წრებრუნვაში და, აქედან გამომდინარე, ხელს უწყობენ კლიმატის სტაბილურობას. ხანჩალის ტბის დაშრობის შედეგად კი საგრძნობლად იკლო ტენიანობამ”.

ფრინველები

წყალჭარბი ტერიტორიები მრავალრიცხოვანი, გადაშენების პირას მყოფი სახეობების ჰაბიტატს წარმოადგენს. წყალმარჩხი ტბა, რომლის საშუალო სიღრმე 70 სმ იყო და ადვილად თბებოდა. ამდენად ნაპირები ჭაობის მცენარეულობით იყო დაფარული, ეს კი წყალმცურავი ფრინველებისათვის სახარბიელო პირობებს ქმნიდა. ტბის, დაშრობის შემდეგ კი შეიცვალა მცენარეული საფარი და განადგურდა ფრინველთა საბინადრო გარემოც. გადაშენების პირას მყოფი მრავალი ფრინველის სახეობა იყენებდა ხანჩალის ტბას საბინადროდ გამრავლების პერიოდში, ან შესაჩერებლად მიგრაციის დროს. ხანჩალის ტერიტორიაზე აღრიცხული ფრინველთა 91 სახეობიდან ნაწილი ბუნების დაცვის მსოფლიო კავშირის წითელ ნუსხაშიცაა შეტანილი.

“წყალჭარბი ტერიტორიები მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ეკოსისტემებია და როგორც წყლის ფრინველთა ადგილსამყოფელებს, მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. მიგრირებად ფრინველთა უმეტესობა სეზონური მიგრაციების დროს სახელმწიფო საზღვრებს გადაკვეთს და ამდენად ეს სახეობები საერთაშორისო რესურსებად განიხილება”, - ამბობს მაჭარაშვილი და ამატებს, რომ გადაშენების პირას მყოფი ფრინველების გადასარჩენად დროებითი თუ ძირითადი ჰაბიტატების შენარჩუნება და დაცვა უმნიშვნელოვანესი პირობაა.

მცენარეული საფარი

ტბის ფსკერის დამშრალ ნაწილზე ნაირბალახოვანი მარცვლოვანი კულტურებია განვითარებული.

“მცენარეულობა ჩამოყალიბების პროცესშია და სავარაუდოდ, საბოლოოდ აქ რეგიონისთვის დამახასიათებელი მეორადი მარცვლოვანი მდელო ჩამოყალიბდება, - აცხადებს მაჭარაშვილი და დასძენს, რომ ნატბეული ფსკერის ზედაპირი დახეთქილია, ნიადაგის ზედაპირი კი გამომშრალი და გატკეპნილი - “ეს იმაზე მიუთითებს, რომ დამშრალი ტბის ფსკერის ნიადაგი სხვა შემადგენლობისაა და, როგორც ჩანს, აქ განვითარებული მცენარეულობის ბიომასის მოცულობა და ხარისხი და, შესაბამისად, მისგან მიღებული ეკონომიკური სარგებელი, საკმაოდ დაბალი იქნება”.

თევზები

უკანასკნელი 30-40 წლის განმავლობაში ჯავახეთის აზორიგენტულმა იქითოფაუნამ მნიშვნელოვანი დეგრადაცია განიცადა. მაჭარაშვილის თქმით, ეს გამოწვეულია ტბებზე თევზის მეურნეობის განვითარებისათვის არადმგრადი მეთოდების გამოყენებით: “წლების განმავლობაში ხდებოდა კომეციული სახეობის თევზების შემოყვანა ჯავახეთის ტბებში. საბჭოთა პერიოდის პრაქტიკამ, რომელიც სამწუხაროდ, ინერციით დღემდე გრძელდება, თითქმის მოსპო ადგილობრივი თევზის სახეობები: ტბის კალმახი, კავკასიური ქაშაყი, მტკერის წვერა”.

ჰიდროლოგიური ღირებულება

ჯავახეთის წყალჭარბი ტერიტორია ფასეულია მტკნარი წყლის რესურსებით. მაგალითად

ტრადიციული ანგარიში
წინასახალწლო ვაჭრობა
როგორ შეხვდებიან 2011 წელს ახალციხეში
გართულებების თავიდან ასაცილებლად
არ იცხოვროთ მბრძანებლობისთვის
ჩემო ძვირფასო მკითხველებო!
მივესალმები ყველა ჩვენს მკითხველს!
“სამხრეთის კარიბჭის” ძვირფასო მკითხველებო!
სახალწლო სუფრა
„იღუმალი“ გამეობა
შეწყვეტილი დახმარება
მხარდაჭერა ისევ რიტუალების სახლს
ძვირი “სარსებო მინიმუმი”
უკმაყოფილო აზონენტები
85 წელი დამთავალიერბლის სამსახურში
პოლიციის შენობის გახსნა
მზადება არჩევნებისთვის
ბავშვთა სახლი გაუქმების ზღვარზე
ახალი დასახლება და “იქაური” ცხოვრების წერილმანებ...
საერთაშორისო ტურნირი თბილისში
გამარტივებული მომსახურება
საიდუმლოდ ქვეული ტენდერები
სამედიცინო მომსახურება ძვირდება
ხუთი უპასუხო განცხადება
ინტერვიუ ნონა გაფრინდაშვილთან
ყარყატების სოფელი
კრედიტები კვლოფიკაციის ასამაღლებლად
საუკუნის თეატრი მაყურებლისა და ფინანსების გარეშე
ახალი პროექტი საჯარო სკოლებისთვის
ტრადიციული ფესტივალი
„დიდი გამყინვარება“
ათი წელიწადი “ყინულის გასაღწობად”

დილიფის წყაროები, რომლებიც სათავეს ხანჩალის ტბის დასავლეთით მდებარე მცირე ქედის დასავლეთ კალთებიდან იღებს, უმნიშვნელოვანესია ადგილობრივი მოსახლეობისათვის. სწორედ ამ წყაროებს იყენებენ სარწყავად და სასმელად ახალქალაქსა და რამდენიმე სოფელშიც. “ხანჩალის ტბის წყალი, ტუფის ქანებში ფილტრაციის შემდეგ, წყაროების სახით სოფელ დილიფთან ახლოს ციცაბო ფერდობებზე გამოდის. ისინი მდინარე კირხ-ბულახში ჩაედინებიან და წყლით ამარაგებენ ადგილობრივებს”, - გვიხსნის მაჭარაშვილი.

ტბის აღდგენის მცდელობა

2006 წელს, ტბის ბუნებრივი ზომების აღდგენის მიზნით, საქართველოს ველური ბუნების შენარჩუნების ცენტრმა მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციასთან დადო კონტრაქტი, ხანჩალის ტბის დამშრალი ნაწილის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთების მოსახლეობისაგან შესყიდვის-კომპენსაციების გეგმის მოსამზადებლად. 1985 წელს ტბის უწყლოდ დარჩენილ ნაწილს ადგილობრივები სასოფლო-სამეურნეო მიწებად იყენებდნენ. 1990-იან წლებში კი ტბის დამშრალი ნაწილი მათ კერძო საკუთრებაში გადაეცათ.

ამდენად, პროექტის ფარგლებში ასოციაცია ახორციელებდა სავსე სამუშაოებს ხანჩალის ტბის ტერიტორიაზე და აღდგენდა მიწის ნაკვეთების ოფიციალურ და არაოფიციალურ მესაკუთრეებს, ასევე აღდგენდა ტბის საზღვრებს 1979 წლის მდგომარეობით, ასევე მიწის ნაკვეთების სამართლებრივ სტატუსს და იმ მოსავლის სახეობებს, რაოდენობასა და ფასს, რომელიც ამ ტერიტორიაზე მოჰყავთ.

დღემდე ხანჩალის ტბაზე არაფერია შეცვლილი. მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციაში კი ინფორმაცია იმ სამუშაოების შესახებ, რომლებიც განსახლების გეგმის ფარგლებში მომზადდა ვერ მოიძიეს.

“განსახლების გეგმა”, სადაც მითითებული უნდა ყოფილიყო ინფორმაცია შესასყიდი ფართობის და მოსავლიანობის შესახებ, ჩვენთან შენახული არ არის”, - აცხადებს მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციაში პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელი მარიკა ლაფაჩიშვილი.

საქართველოს ველური ბუნების შენარჩუნების ცენტრის გამგეობის თავმჯდომარის რამაზ გოხელაშვილის განმარტებით კი, როგორც ჩატარებულმა სამუშაოებმა აჩვენა, იმ დროისთვის (2006 წელი) ტბის დამშრალი ნაწილის უმეტესობა კვლავ სახელმწიფო საკუთრებაში იყო. საქართველოს ველური ბუნების შენარჩუნების ცენტრმა მიაწოდა ეს ინფორმაცია გარემოს დაცვის სამინისტროს და გამოხატა მზადყოფნა, რომ გამოისყიდიდა ტბის ფსკერის ნაწილს კერძო მფლობელებისგან, თუ სამინისტრო მიიღებდა გადაწყვეტილებას ტბის პირვანდელ ზომებში აღდგენის თაობაზე და ამისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების საკითხს მოაგვარებდა: “თუმცა, საკითხის ეთნიკური სენსიტიურობის გამო, გარემოს დაცვის სამინისტრომ თავი შეიკავა ასეთი გადაწყვეტილების მიღებისგან, ამიტომ მხოლოდ კერძო მფლობელობაში არსებული მიწების გამოსყიდვამ აზრი დაკარგა”.

გოხელაშვილის განცხადებით, ტბის პირვანდელი სახით აღდგენა, მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი სურვილისა და გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შესაძლებელი. ველური ბუნების შენარჩუნების ცენტრი დღესაც მზადაა, მოიძიოს თანხები კერძო მესაკუთრეებისგან მიწის გამოსასყიდად თუ, რა თქმა უნდა, გაირკვევა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ბედი: “საჭიროა სამინისტრომ მიიღოს ხანჩალის ტბის აღდგენის პოლიტიკური გადაწყვეტილება. ამ შემთხვევაში პრობლემა ძალიან ადვილად მოგვარდება”.

ადგილობრივები

ტბის აღდგენის შემთხვევაში მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებულ პრობლემებზე აკეთებს აქცენტს, სამცხე-ჯავახეთში მოქმედი გარემოსდაცვითი კავშირი “სამყაროს” დირექტორი და ბიოლოგიის დოქტორი ნანა ზუბაშვილი, რომელიც ხანჩალის ტბის საკითხებთან დაკავშირებით 1997 წლიდან მუშაობს: “ადგილობრივებს დაკანონებული აქვთ მიწები, ამდენად ხანჩალზე გარდა ეკოლოგიურისა მწვევად დგას სოციალური პრობლემებიც. მით უფრო, რომ აქ ეთნიკური უმცირესობა ცხოვრობს. გასულ წელს მოსახლეობა საკმაოდ უკმაყოფილო იყო იმ გაურკვეველობით, რომ არ იცოდა რა იგეგმებოდა ხანჩალის ტბის ტერიტორიებთან დაკავშირებით”. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ხანჩალში დამშრალი ტბის ტერიტორიაზე ერთი ჰექტარი მიწის ნაკვეთი თითქმის ყველა ოჯახს აქვს. როგორც ადგილობრივები ამბობენ, აქ სასოფლო-საგარეულების მთელ ტერიტორიას 17 ათასი ჰექტარი უკავია.

75 წლის კარაპეტ ესოიანს ტბის დაშრობის შემდეგ ნახევარი ჰექტარი ერგო: “ეს მიწები სახელმწიფომ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადმოგვცა და საბუთებით გვაქვს

პანდემიის მოლოდინში
საზღვრის ერთ მხარეს
იძულებითი სისუფთავე
ცხოვრება შეზღუდული შესაძლებლობებით
თანხა ჩხრიალებს, წყალი კი არა
მესხების გზა უცხოეთიდან სამშობლოში და უკან

- November (48)
- October (51)
- September (35)
- July (49)
- June (36)
- May (54)
- April (57)
- March (60)
- February (46)
- January (10)
- 2009 (62)

ბლოგები

epulit, sir
„კერაფერს დაუმტკიცებენ“ - 14 თებერვალს, ჩემმა მეგობარმა სტატია გააკეთა „ვანო მერაბიშვილის დედამ სკოლის მოსწავლეები და დამლაგებელი სცემა“. <http://sknews.ge/index.php?newsid=1109#.US...>
3 months ago

უკან, სამშობლოში "ტოლერანტის"
ანგარიში - 11 months ago

დარაბებს მიღმა ვიდრე წერის დრო დამიბრუნდება - ვერასდროს ვიფიქრებდი რომ ოდესმე, ჩემთვის ყველაზე დებრესიულ ზამთრის პერიოდში, მუდამ მხოლოდ დათვობას და სითბოში მიღზე რომ ვიცნობოდი, ასეთი აქტური ვიქნებოდი...
1 year ago

There was an error in this gadget

ყველაზე კითხვადი

ნინოწმინდა გლობალურ ქსელში

მასობრივი სკრინინგი - საუკეთესო პრევენცია

ახალქალაქში ქთომები იხოვება

ოპტიმისტი მინისტრი და იმედაცრუებული

გაფორმებული, მაგრამ სათიბად ვიყენებთ მხოლოდ, კარტოფილი ან სხვა კულტურები აქ არ მოდის. როცა თოვლი დნება ჭაობდება და იქ ვედარაფერს გააკეთებ”.

ესოიანის თქმით, ჯობდა ამ ადგილზე წყალი ყოფილიყო: “თევზით ვისარგებლებდით. ყოველწლიურად ისე ცოტავდება წყლის რაოდენობა, რომ ფეხითაც კი გაივლი, ახლა ტბის სიღრმე 15-20 სანტიმეტრი იქნება, ამდენად თევზიც აღარ არის”.

ადგილობრივების თქმით, ტბის დაშრობიდან დღემდე მიწების სანაცვლოდ მათთვის კონკენსაცია არავის შეუთავაზებია.

“თანახმა ვართ კომპენსაცია ავიღოთ. თუ მანამდე გვყოფნიდა მიწები, სანამ ტბას დააშრობდნენ, მერეც გვეყოფა, - ამბობს პატარა ხანჩალის მკვიდრი 85 წლის ალექსანდრე ესოიანი და ამატებს, რომ უკეთესი იქნება თუ ტბას სულ დააშრობენ და ნინოწმინდამდე გზას გაიყვანენ – რვის ნაცვლად, ნინოწმინდისგან სოფელი, ოთხი კილომეტრით იქნება დაშორებული. აბა რა სარგებელი მოაქვს ამ ტერიტორიას, თევზი აქ არაა, ვერც მიწას ვამუშავებთ”.

ტბის დაშრობა დაუშვებლად მიაჩნია დიდ ხანჩალში მცხოვრებ 63 წლის სოსო ხოდერიანს, “რაც ბუნებამ შექმნა ისაა უკეთესი”, მაგრამ ტბის დაშრობის შემდეგ ნინოწმინდაში ზამთარი ისეთი მკაცრი აღარაა: “ადრე დიდთოვლობის გამო სოფლამდე მოსასვლელი გზა იკეტებოდა, ახლ ასე აღარ არის”.

ეკოლოგიური საფრთხე - დამბები

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე არტავაზ ტონოიანი მიიჩნევს, რომ ტბა პირვანდელ მდგომარეობას უნდა დაუბრუნდეს, თუმცა მანამდე დამბებია აღსადგენი. წინააღმდეგ შემთხვევაში იმ ოთხ სოფელში, რომლებსაც ტბა ესაზღვრება – პატარა ხანჩალი, დიდი ხანჩალი, გუნდრიო, დილიფი – შესაძლოა სტიქიური უბედურება დატრიალდეს: “აქ თოვლის ნადნობი წყლები ჩადის. ეს ადგილები წყალკანალის წარმომადგენელთან ერთად არაერთხელ დავათვალიერე, დამბის კედელი ზოგჯერ სამი მეტრია და ზოგჯერ 40-50 სანტიმეტრი. თუ ეს გაირღვევა გაზაფხულის პერიოდში ირგვლივ არამხოლოდ სამოვრები დაიტბორება”.

მისი თქმით, სასწრაფოდ უნდა მოინახოს წყაროები და თანხა დამბების აღდგენისთვის: “ჩვენი მოძიებული სახსრებით დამბები კუსტარულად, რვასანტიმეტრიანი “ბალკებით” გავამაგრეთ, თუმცა, ეს არი არის საკმარისი”.

ტონოიანის განმარტებით, დამბებს ყოველ გაზაფხულზე ადებენ, რომ წყალმა არ გაარღვიოს და სახლები არ დატბოროს: “ავარიულ მდგომარეობაშია “შლუზებიც”, ანუ ის რითაც დამბები იღება, ამ ყველაფრის გასაკეთებლად კი საკმაოდ დიდი თანხებია მოსაძებნი”.

დამბებს რომ “სასწრაფოდ შეეღა სჭირდება” ნანა ზუბაშვილი და ირაკლი მაჭრაშვილიც საუბრობენ.

“დროულად უნდა მოგვარდეს ამ ტერიტორიების განაწილების ამბავი, რაც დრო გადის დამბების დანგრევის ალბათობა იზრდება”, - ამბობს ზუბაშვილი. “მიწისა და ბეტონის ფილებისაგან აგებული ჯებირი შესაძლოა სულ დაიშალოს და ხანჩალის ულამაზესი ტბის ნაცვლად ატალახებული მინდორი ვიხილოთ”, - აცხადებს მაჭრაშვილი.

რამსარის კონვენცია

ასოციაცია სენის, ანუ კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ექსპერტის ჭიჭიკო ჯანელიძის თქმით, ტბაზე დამბის აშენება დაუშვებელი იყო: “ამან ტბის ბუნებრივი ეკოსისტემების ძლიერი დეგრადაცია გამოიწვია, რაც რამსარის კონვენციით ყოველად გაუამრთლებელია”.

1971 წლის 2 თებერვალს ირანის ქალაქ რამსარში 18-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა კონვენციას “საერთაშორისო მნიშვნელობის წყალჭარბი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, ტერიტორიების შესახებ (რამსარის კონვენცია)”. იგი წარმოადგენს მთავრობათაშორის შეთანხმებას, რომელიც მიზნად ისახავს წყალჭარბი ტერიტორიების დაცვას, მათ მდგრად გამოყენებას და ამისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფას.

საქართველო რამსარის კონვენციას 1996 წელს შეუერთდა, ამ დროისთვის დამბები ხანჩალზე უკვე ათი წლის აშენებული იყო. თუმცა, კონვენციაზე ხელისმოწერის შემდეგ ხანჩალის ტბისთვის მინც არაფერი შეცვლილა. რამსარის საიტად კოლხეთის დაბლობის წყალჭარბი სავარგულები გამოცხადდა.

“მაშინ, საქართველოს მეორე წყალჭარბ რეგიონს, ჯავახეთის ზეგანს მოაკლდა ყურადღება. არადა ის, თავისი ტბებითა და ნაირფეროვანი ცხოველთა სამყაროთი, მთლიანად აკმაყოფილებს საერთაშორისო მნიშვნელობის წყალჭარბი ტერიტორიის ნუსხაში შესატან მოთხოვნებს”, - აცხადებს მაჭარაშვილი.

უცვლელი ვითარება

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან დღემდე ჯავახეთის ზეგანზე არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მიერ 10-ზე მეტი პროექტი განხორციელდა:

1995 • GCCW: კვლევითი ექსპედიცია ხანჩალის ტბასა და ჯავახეთის ზეგანზე (დაფინანსებულია WWF-International-ის და CUNA Georgia-ს მიერ);

1998-1999 • NACRES: საქართველოს წყალჭარბი ტერიტორიების ფოტოარქივი (დაფინანსებულია მსოფლიო ბანკის მიერ);

1999-2000 • GCCW: “მიწათსარგებლობა და კონსერვაცია სამხრეთ საქართველოში” (დაფინანსებულია ფონდი ღია საზოგადოების სამეცნიერო პროგრამის მიერ);

1999-2001 • NACRES: ჯავახეთის ზეგანის ჭარბტენიანი ეკოსისტემების კონსერვაცია (დაფინანსებულია რამსარის კონვენციის ბიუროს მიერ);

2001 – მიმდინარე • GCCW: ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ადგილების გამოვლენა და კონსერვაცია საქართველოში (დაფინანსებულია BirdLife International-ის და BirdLife Switzerland-ის მიერ);

2002 • ევროსაბჭო/ზერნის კონვენციის სამდივნო, ექსპერტთა ჯგუფი: “ზურმუხტოვანი ქსელის შექმნა საქართველოში” (პანევროპული ეკოლოგიური ქსელი) (დაფინანსებულია ევროსაბჭო/ზერნის კონვენციის სამდივნო მიერ);

2003 • Campester: შევიმუშაოთ რეკომენდაციები და ჩავატაროთ ღონისძიებები სამხრეთ კავკასიის ორნითოფაუნის მრავალფეროვნების დასაცავად (დაფინანსებულია REC-Caucasus მიერ);

2004 • ასოციაცია “ორბი” და GCCW: ჯავახეთის ფრინველები (დაფინანსებულია ბრიტიშ პეტროლეუმის მიერ);

2002-2004 • NACRES: ჯავახეთის ტბების კონსერვაციის ხელშეწყობა (დაფინანსებულია ბრიტიშ პეტროლეუმის მიერ).

მათ შორის ერთ-ერთი 2000 წელს სახეობათა კონსერვაციის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის პროექტი – “სამხრეთ საქართველოში ჯავახეთის პლატოს წყალჭარბი ტერიტორიების კონსერვაცია” - იყო.

მაჭარაშვილის განმარტებით, შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ისინი აკმაყოფილებენ რამსარის საერთაშორისო მნიშვნელობის წყალჭარბი ტერიტორიის კრიტერიუმებს: “მიღებული მონაცემების მიხედვით, შეიქმნა მათი კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმა. იგი მოწონებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და რამსარის კონვენციის ბიუროს მიერ”.

მას შემდეგ 10 წელი გავიდა და ამ დროის განმავლობაში კიდევ არაერთი პროექტი განხორციელდა, ხანჩალის ტბაზე კი დღემდე რეალურად არაფერი შეცვლილა. თუმცა, ადგილობრივები, ისე როგორც გასული ორი ათეული წლის განმავლობაში, კვლავ

ცვლილებების მოლოდინში არიან.

“ორმა სახელმწიფომ იყიდა ტბა, ერთი გერმანიაა, მეორე არ ვიცით. ნაკრძალი უნდა გაკეთდესო, მაგრამ იმასაც ამბობენ აქ აეროპორტის გაკეთებაც იგეგმებაო. უცხოელები ხშირად მოდიან, სურათებს იღებენ. არ ვიცით საბოლოოდ რას იზამენ”, - აცხადებს პატარა ხანჩალში მცხოვრები 73 წლის ლაფრენტ ავასიანი. “იყო ლაპარაკი ამ ზონის ნაკრძალად გადაკეთებაზე”, - ამბობენ ადგილობრივ თვითმმართველობაში.

გამოსავალი?

ირაკლი მაჭარაშვილის თქმით, საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის აქ ეროვნული პარკის შექმნის თაობაზე წინასწარი შეთანხმება უკვე არსებობს: “პარკი მოიცავს იმ ტბებსა და ჭაობებს, რომლებიც შესულია ჯავახეთის წყალჭარბი ეკოსისტემების კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმაში”.

გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკმა ამისათვის 2 მილიონ 250 ათასი ევრო გამოყო დაცული ტერიტორიების სააგენტოს მარკეტინგის და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ანა ჯაფარიძის განცხადებით, ჯავახეთში დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით მუშაობა უკვე მიმდინარეობს: “გეგმარებით დაცულ ტერიტორიებში მოაზრებულია ეროვნული პარკის და 5 ალკვეთილის დაარსება. აქ შედის ხანჩალის ტბაც”.

მისი თქმით, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა შესაბამისი ექსპერტების მიერ ხანჩალის ტბის შეფასების ანგარიშთან მიმართებაში: “შემდეგ დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები ანგარიშს განიხილავენ და სწორედ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე განხორციელდება ქმედებები ხანჩალის ტბასთან დაკავშირებით - რა დონეზე მოხდება ტბის აღდგენა, მოხდება თუ არა დამბების გამაგრება”.

რაც შეეხება ხანჩალზე საკუთრებაში არსებულ მიწებს ჯაფარიძის განცხადებით, “ჯავახეთის გეგმარებითი დაცული ტერიტორიების დაპროექტებისას მხედველობაში იქნა მიღებული ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები და მათი საკუთრება. შესაბამისად, გეგმარებით დაცულ ტერიტორიებში არ შედის კერძო საკუთრება”.

როგორ შეიძლება დაცულ ტერიტორიებში არ შევიდეს კერძო საკუთრება, როცა ტბის მიმდებარედ მიწები ადგილობრივებისაა; თუ ტბას აღადგენ, როგორ გადაწყვეტს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების საკითხს, რის გამოც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ხანჩალის ტბასთან დაკავშირებული პრობლემები გადაუჭრელი დარჩა; არის თუ არა ინფორმირებული ავარიული დამბებისა და მათი ნგრევით გამოწვეულ მოსალოდნელ საფრთხეებზე; რა შეიძლება შეცვალოს ტბის პირვანდელი სახის დაბრუნებამ გარემოში; ან რატომ არ არის ადგილობრივი მოსახლეობა ინფორმირებული, თუ რას გეგმავს სახელმწიფო მათ სოფელში მდებარე ტბასთან დაკავშირებით – ამ კითხვებით სამხრეთის კარიბჭემ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 13 დეკემბერს მიმართა და 24 დეკემბრამდე პასუხის მიღებას ამაოდ ელოდა.

“კითხვები შესაბამის ადრესატებთან დაგზავნილი გვაქვს, ვეცდებით მელე გიპასუხოთ”, - გვაიმედებდნენ არა ერთი სატელეფონო ზარის განხორციელების შემდეგ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან.

ტბა, როგორც ადგილობრივები ამბობენ, ყოველ წელს უფრო და უფრო პატარავდება; დამბების სისქე სამი მეტრიდან 50 სანტიმეტრზეა დასული; რომ აღარაფერი ვთქვათ ბიომრავალფეროვნების განადგურებაზე, რეგიონში იზრდება ეკოლოგიური კატასტროფის მოლოდინი და შიში; დაცული ტერიტორიების სააგენტოს განცხადებით კი რა როდის იქნება, ჯერ გარკვეული არ არის. იმ გადაწყვეტილებამდე მისვლას, რომ ჯავახეთში ეროვნული პარკი შექმნილიყო ორი ათეული წელი დასჭირდა, იმედია მიღებული გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად ორი ერთეული წელი მაინც იქნება საკმარისი.

თამუნა უჩიძე, ნინოწმინდა

სტატია მომზადებულია "ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის" მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის (გრანტის ნომერი G10-3001) ფარგლებში. სტატიაში მოყვანილ ფაქტებზე პასუხისმგებელია გაზეთი "სამხრეთის კარიბჭე" და იგი არ გამოხატავს "ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის" ოფიციალურ პოზიციას.